



საქართველო

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება N 43 660

27/06/2018

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.თ“, „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 122-ე და 123-ე მუხლების, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე და 61-ე მუხლების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესი წინამდებარე ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად (დანართი N1 თანერთვის).
2. შინაგანაწესის ასლი გაეგზავნოს ადგილმდებარეობის მიხედვით მოხელეთა პროფესიულ გაერთიანებას.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს დამტკიცებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 23/02/2015 წლის N43 359 ბრძანება „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“.
6. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7.) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

კახაბერ მახათაძე

მუნიციპალიტეტის მერი